

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამა

ნინო ღირდალაძე

საქართველოში სოციალური მუშაობა აივ დადებით  
პირებთან

ნაშრომი შესრულებულია სოციალური მუშაობის ბაკალავრის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი : გიორგი წოწკოლაური

თბილისი

2024

# სარჩევი

ანოტაცია .....	- 3 -
ტერმინთა განმარტება .....	- 4 -
შესავალი.....	- 5 -
ნაშრომის მიზანი .....	- 5 -
ნაშრომის ამოცანები.....	- 5 -
გამოყენებული მეთოდოლოგია.....	- 5 -
თავი I : აივ ინფექცია/შიდსის ისტორიული მიმოხილვა.....	- 6 -
1.1 აივ ინფექცია/შიდსის ისტორია, ეპიდსიტუაცია და გავრცელება მსოფლიოში - 6 -	
1.2 აივ/შიდსის აქტივიზმი შეერთებულ შტატებში.....	- 9 -
1.3 აშშ-ში სოციალური მუშაობის გამოცდილება.....	- 11 -
თავი II : აივ ინფექცია/შიდსი საქართველოში .....	- 13 -
2.1 აივ-ის მიმოხილვა და ეპიდსიტუაცია საქართველოში .....	- 13 -
2.2 საქართველოში სოციალური სამუშაოს გამოცდილება აივ ინფექციასთან .....	- 14 -
2.3 აივ ინფექცია/შიდსთან მომუშავე ორგანიზაციები და სოციალური მუშაობა .....	- 16 -
2.4 სოციალური მუშაკის როლი აივ დადებით პირებთან .....	- 19 -
2.5 სოციალური მუშაობა რისკ ჯგუფებთან .....	- 20 -
დასკვნა .....	- 23 -
ბიბლიოგრაფია .....	- 25 -

## ანოტაცია

ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი (აივ) ერთ-ერთ მასშტაბური და გავრცელებული გამოწვევაა, რომელმაც მსოფლიოში მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში იჩინა თავი და დღემდე აქტუალურია და გამოწვევად რჩება. ჩვენს დროში აივ ინფექცია/შიდსთან ბრძოლა შეუძლებელი აღარ არის ანტირეტროვირუსული მედიკამენტებით, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ინფექციის კონტროლი და სტაბილური ჯანმრთელობის ხარისხის შენარჩუნება. ნაშრომში განხილულია აივ ინფექცია/ შიდსის ისტორიული განვითარება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოში. ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს სოციალური მუშაკის როლი და ხელი შეუწყოს მის მეტად აქტუალიზაციას. ამ ეტაპისთვის საქართველოში არ არსებობს აივ დადებით პირებთან სამუშაო გაიდლაინი, რომელიც გამოყენებული იქნება მომსახურეობის მიმღებთან მუშაობის პროცესში.

## ტერმინთა განმარტება

**აივ** - ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი (Centers for Disease Control and Prevention , 2022)

**შიდსი** - შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი (Centers for Disease Control and Prevention , 2022)

**ანტირეტროვირუსული მკურნალობა (არვ)** - აივ დადებითი პირების მკურნალობა აივ ინფექციის საწინააღმდეგო მედიკამენტების საშუალებით. კურნალობა შედგება სულ მცირე სამი მედიკამენტისგან , რისი საშუალებითაც ხდება აივ-ის სუპრესია<sup>1</sup>. (დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, 2018)

**მაღალი რისკის ქცევა** - ქცევა , რომელიც საფრთხეს ქმნის აივ ინფექციის გადაცემაზე . (საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი- თანადგომა & საერთაშორისო ფონდი კურაციო, 2019)

**Prep** - პრე-ექსპოზიციური პროფილაქტიკა, რომელიც არის აივ ინფექცია/შიდსის პრევენციის მეთოდი. (თანასწორობის მოძრაობა, 2023)

**მსმ** - მამაკაცი, რომელსაც სექსი აქვს მამაკაცთან. ტერმინი შეესაბამება სექსუალურ ქცევას, ვიდრე იდენტობას. (ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, 2016)

**ნიმ**- ნარკოტიკების ინექციური მომხმარებელი (ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი , 2023)

---

<sup>1</sup> დათრგუნვა

## შესავალი

აივ ინფექცია/შიდსი კვლავ რჩება გლობალური ჯანმრთელობის პრობლემად , რომელიც გავლენას ახდენს მილიონობით ადამიანზე მთელი მსოფლიოს გარშემო . იმის და მიუხედავად , რომ სამედიცინო მკურნალობაში მიღწევებმა გააუმჯობესა ვირუსით დაავადებულთა ცხოვრების ხარისხი, პრევენცია გამოწვევა რჩება აივ/შიდსის პანდემიის მოგვარების საქმეში. სოციალური სამუშაოს შესწავლითა და განვლილი ისტორიის გაცნობით მნიშვნელოვანია აივ ინფექციასთან ბრძოლასა და ცხოვრების ხარისხის ამაღლების პროცესში გამოვყოთ სოციალური მუშაკის წვლილი.

საკითხის უკეთ გაცნობისა და სოციალურ მუშაობასა და აქტივიზმთან მიმართებით პარალელების გავლებაში მსოფლიოში არსებული სტატისტიკა და ამერიკის შეერთებულ შტატების მაგალითი დაგვეხმარება.

### ნაშრომის მიზანი

ნაშრომის მიზანია საქართველოში სოციალური სამუშაოს პოპულარიზაცია და აივ ინფექცია/შიდსთან მუშაობის სპეციფიკის გაცნობა ,რათა გამოავლინოს ქვეყანაში სოციალური მუშაობისა და აივ /შიდსის გადაკვეთის პრაქტიკა . ამასთანავე, კვლევის გააზრებით ხელი შეუწყოს ჯანდაცვის პოლიტიკის გარეშემო მიმდინარე დისკუსიებს, რომლებიც გავლენას ახდენს ქვეყანაში აივ ინფექცია / შიდსის მდგომარეობა.

### ნაშრომის ამოცანები

ნაშრომის დასახული ამოცანებია :

- ინფორმირებულობის ამაღლება აივ ინექცია/შიდსთან
- ქვეყანაში არსებული სერვისების გაცნობა
- განვლილი ისტორიის გაცნობა და განვითარების შეფასება
- სოციალური მუშაკის როლის გააზრება აივ დადებით პირებთან

### გამოყენებული მეთოდოლოგია

ნაშრომი ეფუძნება პირველად და მეორად ლიტერატურული წყაროების შესწავლას თვისებრივი კვლევის ფარგლებში. კვლევაში გამოყენებულია სამეცნიერო ლიტერატურა , ეროვნული სტრატეგიული გეგმები, ორგანიზაციების წლიური ანგარიშები და არსებული სტატისტიკური მონაცემები .

## თავი I : აივ ინფექცია/შიდსის ისტორიული მიმოხილვა

### 1.1 აივ ინფექცია/შიდსის ისტორია, ეპიდსიტუაცია და გავრცელება მსოფლიოში

ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი (აივ) , თავს ესხმის იმ უჯრედებს, რომლებიც ეხმარება ორგანიზმს ინფექციებთან ბრძოლაში, რის შედეგადაც ადამიანი მეტად დაუცველია სხვა ინფექციებისა და დაავადებების მიმართ. აივ ინფექცია/შიდსი აღმოჩენილია ბიოლოგიურ სითხეებში, განსაკუთრებით მაღალი შემცველობა აქვს სისხლს, სპერმასა და ვაგინალურ სეკრეტს. მისი გადაცემა და გავრცელება შესაძლებელია აივ დადებით პირთან დაუცველი სქესობრივი კავშირით (ორალური, ვაგინალური, ანალური) , ინფიცირებული სისხლისა და მისი ცალკეული კომპონენტების გადასხმით, დაინფიცირებული ნემსისა და სხვა სამედიცინო ინსტრუმენტების გამოყენებით, აივ ინფიცირებული დედიდან შვილზე ( ვერტიკალური გზით ) (Centers for Disease Control and Prevention , 2022).

ამ დროისთვის აივ ინფექციის სრულად განკურნება შესაძლებელი არ არის , თუმცა მისი მართვა შესაძლებელია მკურნალობის შედეგად.

აივ- ის პირველი დადასტურებული შემთხვევა 1981 წელს გამოვლინდა ამერიკის შეერთებულ შტატებში , ვირუსის იდენტიფიკაცია დაიწყო ფილტვის იშვიათი ინფექციებით და იშვიათი და უჩვეულოდ აგრესიული კიბოთი ახალგაზრდა , გეი ,მამაკაცებში ნიუ-იორკსა და კალიფორნიაში. 1981 წლის დეკემბრისთვის ექიმებმა იგივე სიმპტომები აღმოაჩინეს ხუთ ახალშობილში, რომელთა დედები ნარკოტიკების მომხმარებლები და სექს-მუშაკები იყვნენ (U.S. Department of Health & Human Services, 1981-2022) . აშშ-ს დაავადებათა კონტროლის ცენტრმა(CDC) 1981 წელს გამოაქვეყნა ავადობისა და სიკვდილიანობის ყოველკვირეულ ანგარიში : Pneumocystis Pneumonia — Los Angeles. სტატია აღწერს იშვიათი ფილტვის ინფექციის, პნევმოცისტური

პნევმონიისა<sup>2</sup> და კაპოშის სარკომის<sup>3</sup>, შემთხვევებს. ლოს-ანჯელესის იმუნოლოგი დოქტორი მაიკლ გოტლიბი, CDC-ის დოქტორი უეინ შანდერა და მათი კოლეგები აცხადებენ, რომ ყველა მამაკაცს აქვს სხვა უჩვეულო ინფექციები, რაც გულისხმობს იმას, რომ მათი იმუნური სისტემა არ მუშაობს. ანგარიშის გამოქვეყნების დროისთვის ორი უკვე გარდაიცვალა . MMWR-ის ეს გამოცემა აღნიშნავს პირველ ოფიციალურ ანგარიშს იმის შესახებ, რაც მოგვიანებით გახდება ცნობილი როგორც შიდსის (შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი) ეპიდემია (U.S. Department of Health & Human Services, 1981-2022).

აივ ინფექცია/ შიდსის წარმოშობის შესახებ განსხვავებული ვარიანტები არსებობს. არსებობს ვარაუდი , რომ აივ ადრეც არსებობდა ცენტრალური და დასავლეთ აფრიკის ზოგიერთ რეგიონში, მაგრამ მასობრივად გავრცელდა მხოლოდ უკანასკნელ წლებში, რასაც სხვა გარემოებებთან ერთად ხელი შეუწყო აფრიკიდან იაფფასიანი სისხლის ექსპორტმა ამერიკისა და ევროპის სისხლის ბანკებში . როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აივ ინფექციის საწყისი შემთხვევები შეერთებულ შტატებში უპირატესად გეი მამაკაცებს შორის იყო, რამაც ადრეული მცდარი წარმოდგენა გამოიწვია, რომ ეს იყო მხოლოდ "გეი დაავადება". თუმცა, სწრაფად გაირკვა, რომ ვირუსი გავლენას ახდენდა სხვადასხვა პოპულაციაზე, მათ შორის ჰეტეროსექსუალურ პირებზე, ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლებსა და ტრანსფუზიის<sup>4</sup> მიმღებებზე.

აივ - თან საბრძოლველად მსოფლიოში სხვადასხვა პროგრამების მიუხედავად იგი გამოწვევად რჩება ყველა ქვეყნისთვის. თუმცა მისი ადრეული გამოკვლევითა და მკურნალობით შესაძლებელია სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდა და ჯანსაღი ცხოვრების ხარისხის შენარჩუნება (ცერცვაძე, 2016) .

---

<sup>2</sup> პნევმონიის ტერმინი აივ ინფექციას, რომელიც იწვევს ფილტვებში სითხის დაგროვებასა და ანთებითი პროცესის განვითარებას.

<sup>3</sup> სისხლძარღვების ენდოთელური უჯრედებიდან განვითარებული ავთვისებიანი სიმსივნე.

<sup>4</sup> ტრანსფუზია - სისხლის გადასხმა (ჰემოტრანსფუზია) , სისხლის შემცველის ან სამკურნალო პრეპარატის შეყვანა ვენაში.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის 2023 წლის მონაცემების მიხედვით 2022 წელს ეპიდემიის დაწყებიდან 85,6 მილიონი ადამიანი დაინფიცირდა აივ ვირუსით და დაახლოებით 40,4 მილიონი ადამიანი გარდაიცვალა აივ-ით, ხოლო მსოფლიოს მასშტაბით აივ-ით ცხოვრობს 39,0 მილიონი ადამიანი . აღნიშნული რიცხვები მიუთითებს თუ რა გამოწვევის წინაშეა მსოფლიო და როგორი მნიშვნელოვანია აივ-თან სწორი პრევენციული ზომების მიღება (World Health Organization, 2023).

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი პირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში 1981 წელს გამოვლინდა, ოფიციალური განცხადება და მიმართვა არ გავრცელებულა სამთავრობო სექტორის მიერ. პირველი ოფიციალური მიმართვა პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა 1985 წელს გაავრცელა და თქვა რომ, აივ ინფექცია იმ დროისათვის მთავარი პრიორიტეტია (The New York Times, 1985). სწორედ, სახელმწიფოს ნაკლები ჩართულობა გახდა საფუძველი იმისა, რომ შექმნილიყო არასამთავრობო ორგანიზაცია , რომელიც შეძლებდა თანხის შეგროვებას კვლევისა და გადაუდებელი შემთხვევებისთვის. შეიძლება ითქვას, რომ 1981 წელს დაწყებული არაფორმალური შეხვედრები, ერთ-ერთ აქტივისტის ლერი კრამერის სახლში , იყო აქტივიზმის პირველი ჩანასახი, რომელმაც შემდგომში განაპირობა პირველი არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნა - Gay Men’s Health Crisis (GMHC) (GMHC, n.d.).

აშშ-ს მთავრობამ და სხვადასხვა ორგანიზაციებმა უპასუხეს პრევენციული ძალისხმევის განხორციელებით, კვლევის გაფართოებით და ჯანდაცვისა და დამხმარე სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებით. 1990-იანი წლების შუა პერიოდში, უაღრესად აქტიური ანტირეტროვირუსული თერაპიის (HAART) გამოჩენამ აივ/შიდსი გარდაქმნა ტერმინალური დაავადებიდან<sup>5</sup> მრავალი ადამიანისათვის მართვად ქრონიკულ მდგომარეობად.

წლების განმავლობაში, აივ-ის მკურნალობასა და ზრუნვაში მიღწევებმა მნიშვნელოვნად შეამცირა აივ-თან დაკავშირებული სიკვდილიანობა და გააუმჯობესა ვირუსით მცხოვრები ადამიანების ცხოვრების ხარისხი. გარდა ამისა, პრევენციის

---

<sup>5</sup> უკურნებელი დაავადების ან მდგომარეობის სიკვდილისწინა სტადია.

სტრატეგიებმა, როგორცაა პრეზერვატივის გამოყენების ხელშეწყობა, სტერილურ ნემსებზე წვდომის უზრუნველყოფა და პრე ექსპოზიციის პროფილაქტიკის (PrEP) განხორციელება, გადამწყვეტი როლი ითამაშა ახალი ინფექციების შეკავებაში.

## 1.2 აივ/შიდსის აქტივიზმი შეერთებულ შტატებში

აივ აქტივიზმმა შეერთებულ შტატებში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საზოგადოების ინფორმირებულობის, პოლიტიკისა და აივ/შიდსით დაზარალებულ ადამიანებზე ზრუნვის ხელმისაწვდომობის ჩამოყალიბებაში. აქტივიზმი გაჩნდა ეპიდემიის დამანგრეველი ზემოქმედებისა და მთავრობის ნელი რეაგირების საპასუხოდ პირველ წლებში. მნიშვნელოვანია განვიხილოთ აივ აქტივიზმის რამდენიმე ძირითადი მიმართულება აშშ-ში:

თავდაპირველად, გაჩნდა ACT UP (შიდსის კოალიცია ძალაუფლების გასათავისუფლებლად): ჩამოყალიბებული 1987 წელს, ACT UP გახდა ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი აივ/შიდსის აქტივისტური ჯგუფი შეერთებულ შტატებში. მათი პირდაპირი მოქმედების კამპანიები მიზნად ისახავდა ცნობიერების ამაღლებას, მთავრობის უმოქმედობის გამოწვევას და მკურნალობასა და კვლევებზე გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობის ადვოკატირებას. (Act Up NY, 2023)

პარალელურად დაიწყო მკურნალობის აქტივიზმი (TAG<sup>6</sup>): 1990-იან წლებში, როცა აივ-ის ეფექტური მკურნალობა ხელმისაწვდომი გახდა, აქტივიზმი ფოკუსირებული იყო მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის ადვოკატირებაზე. აქტივისტები ახდენდნენ ზეწოლას ფარმაცევტულ კომპანიებზე, სამთავრობო უწყებებსა და ჯანდაცვის სისტემებზე, რათა შეემცირებინათ წამლების ფასები, გაეზარდათ კვლევის დაფინანსება და დააჩქარონ ახალი მკურნალობის დამტკიცების პროცესი. 1996 წლისთვის არსებულმა აქტივიზმმა გამოიწვია აღმოჩენა, რომ აივ-ის კომბინირებულმა მკურნალობამ შეიძლება შეამციროს ვირუსის მაჩვენებელი შეუმჩნეველ დონემდე, დაიცვას ჯანმრთელობა და გაახანგრძლივოს სიცოცხლე. ისინი თანამოაზრეებთან

---

<sup>6</sup> Treatment Action Group - მკურნალობის სამოქმედო ჯგუფი

ერთად ცდილობდნენ მიეღწიათ უნივერსალური ხელმისაწვდომობას ყველასთვის. ამ დროისთვის, გარკვეულ წილად TAG-ის ძალისხმევით, 40-ზე მეტი აივ-ის საწინააღმდეგო წამალი და კომბინირებული თერაპია დამტკიცებულია FDA-ს მიერ. (Treatment Action Group, 2023)

აქტივიზმის ერთ-ერთი ფორმა არის შიდსის მემორიალური ქვილთი : იგი არის აივ ინფექცია/შიდსით დაკარგულ სიცოცხლეთა ძლიერი ვიზუალური წარმოდგენა. იგი შეიქმნა 1987 წელს და აგრძელებს ზრდას, ემსახურება როგორც ხარკი დაავადებით დაღუპული პირებისთვის და შეხსენება აივ/შიდსის მიმდინარე გავლენის შესახებ.

აქტივიზმა გადამწყვეტი როლი ითამაშა რაიან უაითის ყოვლისმომცველი შიდსის რესურსების გადაუდებელი (CARE<sup>7</sup>) აქტის შემუშავებასა და მიღებაში 1990 წელს. ეს კანონმდებლობა მიზნად ისახავდა აივ/შიდსით ინფიცირებული პირებისთვის ჯანდაცვისა და დახმარების სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას. განსაკუთრებით მათ, ვისაც არ ჰქონდა ფინანსური რესურსი ან ჯანდაცვის სისტემას არ ემსახურებოდა. რაიან უაითის აქტი (CARE) , რომელიც ამოქმედდა 1990 წელს, წარმოადგენს აშშ-ს კანონმდებლობის ძირითად ნაწილს აივ/შიდსის ეპიდემიის საპასუხოდ. აქტს დაერქვა რაიან უაითის სახელი, იმ მოზარდის გამო , რომელიც აივ-ით დაინფიცირდა სისხლის გადასხმის გზით, ამის შემდეგ კი საზოგადოებაში დისკრიმინაციას განიცდიდა. CARE აქტის მიზანი იყო გამოესწორებინა ხარვეზები ჯანდაცვისა და მხარდაჭერის სერვისებში აივ/შიდსით ინფიცირებული პირებისთვის, განსაკუთრებით მათთვის, ვინც ფინანსური ბარიერების წინაშე იდგა . (Health Resources & Services Administration, 2022)

პრე ექსპოზიციის პროფილაქტიკა (PrEP) ადვოკატირება: ბოლოდროინდელი აქტივიზმი ფოკუსირებულია ცნობიერების ამაღლებაზე და PrEP-ზე წვდომაზე, მედიკამენტების რეჟიმზე, რომელიც ხელს უწყობს აივ-ის გადაცემის პრევენციას. აქტივისტებმა მოითხოვეს გაუმჯობესებული განათლება, სადაზღვევო დაფარვა და PrEP-ის ხელმისაწვდომობა უფრო მეტი რისკის ქვეშ მყოფი პირებისთვის. (AVAC, 2023)

---

<sup>7</sup> Comprehensive AIDS Resources Emergency

აივ აქტივიზმმა შეერთებულ შტატებში მნიშვნელოვანი პროგრესი გამოიწვია ეპიდემიის მოგვარების, ცნობიერების ამაღლების, კვლევის ხელშეწყობის, მკურნალობის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაში და აივ/შიდსით ინფიცირებული აავადებული ადამიანების უფლებების ადვოკატირებაში. ის აგრძელებს სასიცოცხლო ძალას საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკის ფორმირებაში და დაზარალებულ თემებზე აივ/შიდსის გავლენის შემცირებაში.

### 1.3 აშშ-ში სოციალური მუშაობის გამოცდილება

შეერთებულ შტატებში აივ-ის ეპიდემიის საწყის ეტაპებზე სოციალურმა მუშაკებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აივინფექცია/შიდსით დაზარალებული ინდივიდებისა და თემების საჭიროებებზე რეაგირებაში. რა საკვირველია, დროთა განმავლობაში დაავადების შესწავლასა და გავრცელებასთან ერთად იცვლებოდა სოციალური მუშაკის როლი და არსებული სერვისები (Strug, Grube, & Beckerman, 2002). საკითხის გასააზრებლად მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ სოციალური მუშაობის ჩართულობის რამდენიმე ძირითადი ასპექტი:

უპირველეს ყოვლისა, პროფესიული როლი გამოიკვეთა მხარდაჭერისა და კონსულტაციის უზრუნველყოფის მხრივ : სოციალურმა მუშაკებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს აივ/შიდსით ინფიცირებული პირებისთვის, ასევე მათი ოჯახებისა და ახლობლებისთვის ემოციური მხარდაჭერისა და კონსულტაციაში. მათ დაეხმარნენ დაავადებასთან დაკავშირებული რთული ემოციური, სოციალური და ფსიქოლოგიური გამოწვევების გადალახვაში. თუმცა, ცხადი იყო და არის რომ, სათემო განათლებასა და ურთიერთგაგებას დიდი წილი აქვს, სწორედ ამიტომ სოციალური მუშაკები თემში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ განათლების მიწოდებასა და ცნობიერების ამაღლებისთვის აივ/შიდსის შესახებ . მათ ხელი შეუწყეს სამუშაო შეხვედრებს , შეიმუშავეს მასალები აივ-ის გადაცემის, პრევენციისა და სტიგმის შემცირების შესახებ ზუსტი ინფორმაციის გასავრცელებლად. (John Wiley & Sons, Inc., 2010)

ასევე, სოციალურ მუშაკებმა თავისი წვლილი შეიტანეს ადვოკატირებისა და პოლიტიკის მუშაობაში. სოციალური მუშაკები ჩართულნი იყვნენ და არიან

ადვოკატების პროცესში, რათა ხელი შეუწყონ პოლიტიკის პოპულარიზაციას, რომელიც ეხებოდა აივ/შიდსით ინფიცირებული პირების უნიკალურ საჭიროებებსა და უფლებებს. ისინი მუშაობდნენ დისკრიმინაციის შესამცირებლად, სერვისების დაფინანსების უზრუნველსაყოფად და ხელმისაწვდომი ჯანდაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სისტემების ადვოკატურებაზე. ამასთანავე, სოციალურმა მუშაკებმა გადაწყვეტი როლი ითამაშეს აივ/შიდსით დადებითი პირების შესაბამის ჯანდაცვასთან დამხმარე სერვისებთან და რესურსებთან დაკავშირებაში. მათ ჩაატარეს შეფასებები, შეიმუშავეს მოვლის გეგმები და კოორდინირებული სერვისები ყოვლისმომცველი და კოორდინირებული ზრუნვის უზრუნველსაყოფად. აივთან მუშაობაში მნიშვნელოვანია მხარდაჭერის ჯგუფები, სოციალური მუშაკები ხელს უწყობდნენ დამხმარე ჯგუფებს და თანატოლთა საკონსულტაციო პროგრამებს, უზრუნველყოფენ სივრცეებს ინდივიდებისთვის, რათა გაეზიარებინათ საკუთარი გამოცდილება, სოციალური მხარდაჭერის ქსელების შესაქმნელად და ინფორმაციისა და რესურსების უკეთესი წვდომისთვის. (John Wiley & Sons, Inc., 2010)

საზოგადოების მიერ გამოიწვეულმა სტიგმასა და დისკრიმინაციასთან გასამკლავებლად და შესამცირებლად სოციალური მუშაკები მუშაობდნენ აივ/შიდსთან დაკავშირებული სტიგმისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ საბრძოლველად. ისინი ჩართული იყვნენ სათემო განათლების პროგრამებში, რათა შეეცვალათ მცდარი წარმოდგენები, ხელი შეუწყონ მიმღებლობასა და დაიცვან აივ/შიდსით დადებითი პირების უფლებები და ღირსება. ძალიან მშვნელოვანია ასევე ისიც, რომ სოციალური მუშაკები ჩართულნი იყვნენ პალიატიურ ზრუნვაში: სოციალური მუშაკები უზრუნველყოფდნენ პალიატიურ მზრუნველობას და სიცოცხლის ბოლომდე დახმარებას აივ/შიდსით ინფიცირებულ პირებს. ისინი დაეხმარნენ მკურნალობის ვარიანტებთან დაკავშირებული რთული გადაწყვეტილებების ნავიგაციას, ხელი შეუწყეს ჰოსპისის სერვისებზე წვდომასა და ოჯახებსა და ახლობლებს სთავაზობდნენ დახმარებას. (John Wiley & Sons, Inc., 2010)

სოციალური მუშაკები კვლავაც აქტიურად არიან ჩართული აივ ინფექცია/შიდსის პრევენციაში, განათლებაში, მხარდაჭერასა და პოლიტიკის ინიციატივებში შეერთებულ შტატებში. ისინი ხელს უწყობენ მულტიდისციპლინურ გუნდებს და თანამშრომლობენ

ჯანდაცვის პროფესიონალებთან, სათემო ორგანიზაციებთან და სამთავრობო უწყებებთან აივ ინფექცია/შიდსთან დაკავშირებული მიმდინარე გამოწვევების გადასაჭრელად. (The National Association of Social Workers (NASW), 2023)

## თავი II : აივ ინფექცია/შიდსი საქართველოში

### 2.1 აივ-ის მიმოხილვა და ეპიდსიტუაცია საქართველოში

ოფიციალურად, საქართველოში პირველი აივ ინფექცია/ შიდსის შემთხვევა 1989 წელს დაფიქსირდა. ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის 2023 წლის 1 დეკემბრის მონაცემებით საქართველოში რეგისტრირებული შემთხვევების რაოდენობა 10 338-ს შეადგენს , ამათგან 7736 არის მამაკაცი, ხოლო 2602 არის ქალი . დადასტურებული შემთხვევებიდან შიდსი განუვითარდა 4985 ადამიანს , 2185 - კი გარდაიცვალა. აივ დადებითი პირებიდან 6362 ანტირეტროვირუსულ მკურნალობას (არვ) გადიან. წლების მიხედვით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება 2015-2016 წლებში (ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი, 2023).

ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის პრაქტიკული ცენტრის ბოლო მონაცემების მიხედვით, საქართველოში აივ ინფექცია/შიდსი გავრცელდა შემდეგი გზებით :

- ჰეტეროსექსუალური კონტაქტით - 51.7%
- ნარკოტიკების ინექციური მოხმარებით - 32.1 %
- მამაკაცები, რომელთაც სექსი აქვთ მამაკაცთან - 13.4%
- სისხლის რეციპიენტი - 0.4 %
- ვერტიკალური გზით - 1.2 %
- გადაცემის გზა დაუდგენელია - 1.2 %

## 2.2 საქართველოში სოციალური სამუშაოს გამოცდილება აივ ინფექციასთან

საქართველოში სოციალური მუშაობა პროფესიულ ასპარეზზე ჯერ კიდევ ახალბედა პროფესიად ითვლება, თავდაპირველად იგი ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაცია “ევრიჩაილდი“-ის საშუალებით გამოჩნდა , რომლის ფარგლებშიც დაიწყო ბავშვებსა და მათ ოჯახებთან მომუშავე სოციალური მუშაკების გადამზადების პროგრამა. (ნამიჭვიშვილი სალომე, მგელიაშვილი მაია, 2010)

საინტერესოა გავეცნოთ , საქართველოს აივ/შიდსის ეროვნულ სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებს წლების მიხედვით. იგი წარმოადგენს საკოორდინაციო საბჭოს მიერ ორგანიზებული ცვლილებებისა და ჩართულობის განხორციელებაში მონაწილე მხარეების თანაშრომლობის შედეგს, საქართველოში აივ ინფექციისა და შიდსის, მალარიასა და ტუბერკულოზის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებებისთვის.

აივ ინფექციასთან სოციალური მუშაობის ადრეულ ჩანასახს ვხვდებით 2002 წლიდან , როდესაც არამთავრობო და სათემო ორგანიზაციებმა გლობალური ფონდის ფარგლებში პირველ გრანტს მოაწერეს ხელი (გლობალური ფონდი, 2019-2022) . ორგანიზაცია ” თანადგომა - საინფორმაციო სამედიცინო ფსიქოლოგიური ცენტრმა” ჩაატარა კვლევა, რომელიც მოიცავდა 2002-2004 წლებში ქუჩაში მომუშავე სექს-მუშაკების მახასიათებლებს, მაღალი რისკის ქცევებსა და აივ/შიდზე არსებულ ინფორმაციას, ანგარიშში ჩანს რომ სექს-მუშაკებში აივ ინფექცია/შიდსზე ინფორმაციის გავრცელების მნიშვნელოვანი წყარო ტელევიზიის შემდგომ, სოციალური მუშაკები წარმოადგენენ. (თანადგომა - საინფორმაციო სამედიცინო ფსიქოლოგიური ცენტრი, 2006)

2023-2025 წლის სამოქმედო სტრატეგიაში ვეცნობით, იმის და მიუხედავად რომ ზოგადად აივ-ის გავრცელების პოპულაციასთან შედარებით საქართველო არ გამოირჩევა მაღალი მაჩვენებლით, მაინც არსებობს გავრცელების მაღალი რისკები, როგორებიც არის :

- მაღალი რისკის მქონე ქცევები მსმ-ებსა და ნიმ-ებს შორის;

- ზოგად მოსახლეობაში აივ ინფექციის სქესობრივი გზით გავრცელების საფრთხე;
  - მაღალი რისკის ჯგუფებისთვის დამახასიათებელი მაღალი მობილობა;
  - მოსახლეობაში აივ /შიდსის შესახებ ინფორმირებულობის დაბალი დონე.
- (გლობალური ფონდი, 2023)

2011-2016 წლის სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიის ანგარიშში გამოკვეთილია სოციალური მუშაკის როლი და დაახლოებითი ფუნქცია. ანგარიშს მიხედვით 2009 წელს შეიქმნა ე.წ მობილური ჯგუფები, რომელთა მიზანიც იყო აივ/შიდსით დადებითი პირები ჩართულიყვნენ ანტირეტროვირუსულ პროგრამაში, ვინაიდან მკურნალობისადმი ინტერესი დაბალი იყო. მობილური ჯგუფი, საჭიროების შემთხვევაში პროცესში რთავდნენ სოციალურ მუშაკებს, რომლებსაც სიღრმისეული ინტერვიუს, დიალოგითა და სწორი ინფორმაციის მიწოდების საშუალებით მომსახურების მიმღებს გაეთვიცნობიერებინა მიღებული ინფორმაცია და ემოქმედა პრობლემის გადასაჭრელად. (GEORGIA National HIV/AIDS Strategic Plan for 2011-2016, 2010).

2020 წელს ორგანიზაცია “ თანადგომა - საინფორმაციო სამედიცინო ფსიქოლოგიური ცენტრმა” პროგრამის “შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის” ფარგლებში ჩაატარეს კვლევა , რომელიც ეხდებოდა “აივ ინფექცია/შიდსის საკვანძო პოპულაციებისათვის, აივ ინფექცია/შიდსით და ტუბერკულოზით ინფიცირებული პირებისთვის სამედიცინო, პრევენციული და სოციალური სერვისების მიწოდების მდგრადობის უზრუნველყოფა COVID-19 პანდემიის პირობებში” . აღნიშნულმა კვლევამ გამოავლინა სოციალური მუშაკის ჩართულობის საჭიროება, კონკრეტულად ფოკუს ჯგუფის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ მთავარი საჭიროებების, როგორცაა მედიკამენტები, საცხოვრებელი და საკვები , გარდა სჭირდებათ სოციალური მუშაკის მომსახურება (თანადგომა - საინფორმაციო სამედიცინო ფსიქოლოგიური ცენტრი, 2020) .

## 2.3 აივ ინფექცია/შიდსთან მომუშავე ორგანიზაციები და

### სოციალური მუშაობა

საქართველოში აივ ინფექცია /შიდსთან საბრძოლველად აქტიურად არის ჩართული როგორც არასამთავრობო, ასევე სამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები რომლებიც აივ დადებით პირებსა და რისკ ჯგუფებს სთავაზობენ მომსახურებებს. ძირითად შემთხვევაში სათემო მომსახურებებს მსმ , ნიმ , სექს - მუშაკებისა და ტრანსსექსუალი ადამიანებისთვის არასამთავრობო ორგანიზაციები უზრუნველყოფენ.

აივ დადებით პირებთან სოციალური სამუშაოს განვითარებაში დიდი როლს თამაშობს ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია “საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი - თანადგომა” , რომელიც დაარსდა 2000 წელს და ორგანიზაციის მისია და მიზანიაა საქართველოში რეპროდუქციული და სექსუალური ჯანმრთელობისა და მასთან დაკავშირებული უფლებების პოპულარიზაცია. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ორგანიზაციაში სოციალური მუშაკის როლი 2002 წლიდან გამოჩნდა და მას შემდეგ ორგანიზაციის სტრუქტურის შემადგენელი რგოლია. “თანადგომას” შემუშავებული აქვს შემთხვევის მართვის სტრატეგია ,რომელსაც სოციალური მუშაკები მომსახურების მიმღებლებთან იყენებენ (საინფორმაციო სამედიცინო- ფსიქოლოგიური ცენტრი - თანადგომა, 2023).

აივ დადებით პირებთან შემთხვევის მართვის დროს ძირითადი ამოცანებია :

- მომსახურების მიმღებისთვის ინფორმაციის მიწოდება აივ ინექციისა და რისკის შემცველი ქცევის შესახებ ;
- არსებული საჭიროებების შეფასება და სხვადასხვა დახმარების გეგმის შედგენა, რომელიც ორიენტირებულია პირის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისკენ;
- საჭიროებიდან გამომდინარე სერვისების მოძიება და აუცილებლობის შემთხვევაში გადამისამართება ;
- აივ დადებითი პირის მხარდაჭერას მომსახურების მიღების ყველა საფეხურზე;

- ინდივიდუალურ მუშაობას, რათა მომსახურეობის მიმღებმა დაისწავლოს უსაფრთხო ქცევა , შემდგომში კი გაამყაროს იგი. (საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი - თანადგომა, 2023)

შემთხვევის მართვა სოციალურ სამუშაოში ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან მისი საშუალებით სოციალური მუშაკი მომსახურეობის მიმღებს ინტერესებისა და საჭიროებიდან გამომდინარე აწოდებს საჭირო სერვისებს. შემთხვევის მართვაში , თავისმხრივ , იგულისხმება ინდივიდზე ზრუნვის დაგეგმვა, რა დროსაც სოციალური მუშაკი პირს ეხმარება რესურსების მოძიებასა და მიზნების ჩამოყალიბებაში. მისი ძირითადი მიზანია : შეისწავლოს ინდივიდუალური საჭიროებები და შემდეგ მოიპოვოს რესურსები, ამასთანავე ხელი შეუწყოს პირისა და გარემოს ინტეგრაციას (ნამიჭეიშვილი სალომე, მგელიაშვილი მაია, 2010) .

აივ-ზე ტესტირებას და სოციალური მუშაკის მომსახურეობას სთავაზობს არასამთავრობო ორგანიზაცია “თანასწორობის მოძრაობა” , რომლის მიზანს მომსახურეობის მიმღებთა გაძლიერება, სოციალური ფუნქციონირების ამაღლება და საზოგადოებაში სრულ ჩართულობა წარმოადგენს. “თანასწორობის მოძრაობა” მსგავსად “თანადგომისა” იყენებს შემთხვევის მართვის პრინციპს , რაც მოიცავს:

- მხარდაჭერასა და კონსულტაციას ;
- საჭიროებების შეფასებას ;
- მულტიდისციპლინური გუნდში მონაწილეობასა და კოორდინირებას ;
- საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში გადამისამართებას ;
- დოკუმენტების მომზადებასა და სტატისტიკური აღრიცხვის წარმოებას ;

(თანასწორობის მოძრაობა, 2023)

ასევე, აღსანიშნავია “ზიანის შემცირების ქსელი ”, რომელიც 2006 წელს დაფუძნდა და გაერთიანებულია 26 ორგანიზაცია, რომლებიც იზიარებენ იდეას ნარკოტიკული მოხმარებით გამოწვეულ ზიანის შემცირებისთვის და ხელს უწყობენ ისეთი ღონიძობებისა და პროექტების ჩატარებას, რომლებიც მიმართულია აივ ინფექცია /შისის, C და B ჰეპატიტებისა და სხვა სისხლით გადამდები დაავადებების , პირველ რიგში, გამოვლენასა და შემდგომში მკურანალობისთვის, ასევე

ორიენტირებულია საინფორმაციო მასალების გავრცელებასა დათემის გაძლიერებაზე. პროგრამში ჩართული სოციალური მუშაკები, თავის მხრივ, ორიენტირებულები არიან სრულყოფილი სერვისების მიწოდებისთვის (ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი , 2023) .

საქართველოში ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის ხელმძღვანელობით ხორციელდება პალიატიური დახმარება, რომლის მიზანია ქრონიკული დაავადების თანმხლები პრობლემების დროული გამოვლენა ,მდგომარეობის შემსუბუქება, ფსიქოლოგიური და სოციალური მხარდაჭერა . ამ პროცესში სოციალური მუშაკი მჭიდროდ არის ჩართული, რათა პირს ჰქონდეს სრულყოფილი და ღირსეული პირობები. (ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი, 2023)

გლობალური ფონდის პროექტ “ შიდსით დაავადებულთა პალიატიურ დახმარებით უზრუნველყოფის” ფარგლებში შექმნილ დოკუმენტში ვეცნობით, რომ პროგრამის მიმდინარეობისას შეიქმნა პალიატიური ზრუნვისთვის განკუთვნილი ბრიგადა, რომელიც შედგებოდა ექიმის, ექთნის, ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკის, საზოგადოებრივი მხარდაჭერისა და მძღოლისაგან. ყურადღება მიიქცია იმან,რომ დოკუმენტში სოციალური მუშაკი მუშაკი მოხსენიებული და განმარტებული,როგორც საზოგადოების ცნობიერებისთვის ნაკლებად ჩამოყალიბებული და უცხო პროფესია . სწორედ ამიტომ, საჭიროდ ჩათვალეს სოციალური მუშაკის ჩართულობა მობილური გუნდის შემადგენლობაში, რათა გამოკვეთილიყო საქმიანობის პრინციპები, თუმცა ნათლად არ გამოხატავდნენ სოციალური მუშაკის ფუნქციას. (გლობალური ფონდი, 2006) აღნიშნული მაგალითი, საინტერესოა, ვინაიდან დღესდღეისობით შესაძლებელია სოციალური მუშაკის პროფესიული როლის უკეთ გაცნობა და ცნობადობაც უფრო მეტია, ამასთანვე იმ არასამთავრობო თუ სამთავრობო დაწესებულებებში, სადაც სოციალური მუშაკები არიან დასაქმებული გამოყოფილია ის ფუნქცია- მოვალეობები , რომლებსაც სოციალური მუშაკი შეასრულებს.

მიუხედავად ორგანიზაციებში არსებული ცალკეული საქმიანობის აღწერისი, საქართველოში არ არის უშუალო გაიდლაინი, რომელიც მიმართული იქნება აივ დადებით პირებთან მუშაობის უშუალოდ სპეციფიკაზე.

## 2.4 სოციალური მუშაკის როლი აივ დადებით

### პირებთან

სოციალურ მუშაკთა ასოციაციის განმარტებით, სოციალური მუშაობა არის პროფესია, რომელიც დაფუძნებულია პრაქტიკასა და აკადემიურ დისციპლინაზე, რომელიც თავის მხრივ ორიენტირებულია ცვლილებებზე, განვითარებასა და სოციალურ ერთობაზე. პროფესიის მთავარი მისიაა ხელი შეუწყოს ინდივიდის სოციალურ კეთილდღეობას, ინტეგრაციასა და სამართლიანობას (საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, 2005).

სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკის ჩართულობა სამივე დონეზე, მიკრო, მაკრო და მეზო დონეებზე. შეგვიძლია სოციალური მუშაკის მოვალეობები და ფუნქციები აივ დადებით პირებთან, ესენია :

- ინდივიდუალური, წყვილური და ოჯახური კონსულტანცია ;
- ინფორმაციის მიმწოდებლისა და განმანათლებლის როლის შესრულება;
- საჭირო სერვისების მოძიება და გადამისამართება ;
- ადვოკატირების პროცესში ჩართვა ;
- ყველა დაინტერესებული პირის/მოხალისისთვის ინფორმაციის გაზიარება/გადამზადება ;
- მულტიდისციპლინარულ გუნდთან ერთად მუშაობა ; (წოწკოლაური, 2020)

აივ ინექცია / შიდსის პანდემია მნიშვნელოვანი გამოწვევაა გლობალურად, რაც გავლენას ახდენს მილიონობით ადამიანის სიცოცხლესა და საზოგადოებაზე.

სოციალური მუშაკები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ აივ დადებითი პირების ემოციურ, ფსიქოსოციალურ და პრაქტიკული საჭიროებების დაკმაყოფილებაში.

სოციალურ მუშაკს აკისრია მრავალმხრივი პასუხისმგებლობა აივ/შიდსით ინფიცირებული პირების გაძლიერებასა და კეთილდღეობის ხელშეწყობაში, რაც ხაზს უსვამს პროფესიის ჰოლისტურ და მომსახურეობის მიმღებებზე ორიენტირებულ მიდგომის აუცილებლობას.

ეფექტური ჩარევისთვის მნიშვნელოვანია ინდივიდის ურთიერთკავშირი მის სოციალურ გარემოსთან, სწორედ ამიტომ სოციალური მუშაკები მოქმედებენ სხვადასხვა სისტემაში, რომელიც იწყება ინდივიდიდან და სრულდება საზოგადოებამდე . ურთიერთკავშირის გაგება და გააზრება მნიშვნელოვანია ეფექტური ჩარევისა და მხარდაჭერისთვის . (საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, 2011)

სოციალურმა მუშაკებმა მხარი უნდა დაუჭირონ აივ ინფექცია / შიდსით ინფიცირებულ პირების უფლებებს და გააძლიერონ მომსახურეობის მიმღებები, რათა თავად შეძლონ საკუთარი ცხოვრების უკეთ მართვა და გამარდონ თვითეფექტურობა. ასევე, იმის გათვალისწინებით რომ აივ დადებითი სტატუსის გაგებას შესაძლოა თან ახლდეს შფოთვა, სტრესი , გაღიზიანება და ა.შ , ადამიანისთვის მოსალოდნელია გადაჭარბებული იყოს ინფორმაცია და შემგომში ჯანდაცვის სისტემაში ნავიგაცია, რაზეც მნიშვნელოვანია სოციალურმა მუშაკმა გაუწიოს კოორდინაცია და უზრუნველყოს აუცილებელ სერვისებზე წვდომა. (წოწკოლაური, 2020)

## 2.5 სოციალური მუშაობა რისკ ჯგუფებთან

საქართველოში არსებული ეპიდეოლოგიური მონაცემების შედეგად (ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი, 2023) , შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე რისკ ჯგუფი, რომლებიც თავის მხრივ მოხსენიებულია 2023-2025 წლის აივ/შიდსის ეროვნულ სტაგიულ გეგმაში, ესენია : ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლები , მამაკაცები, რომლებსაც სექსი აქვთ მამაკაცთან, სექს-მუშაკები და ტრანსგენდერი ქალები (გლობალური ფონდი, 2023) .

სოციალური მუშაკები გადამწყვეტ როლს ასრულებენ აივ/შიდსის პრევენციაში მაღალი რისკის ჯგუფებზე მორგებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებითა და განხორციელებით. სოციალურმა მუშაობამ ხელი უნდა შეუწყოს უსაფრთხო პრაქტიკის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდას, რეგულარულ ტესტირებას და აივ ინფექცია/შიდსთან დაკავშირებული სტიგმის შემცირებას. საზოგადოებასთან ურთიერთობის მეშვეობით სოციალური მუშაკები ქმნიან უსაფრთხო სივრცეებს ღია დიალოგისთვის, ხელს უწყობენ გარემოს, სადაც ინდივიდები თავს კომფორტულად გრძნობენ ინფორმაციისა და მხარდაჭერის მოძიებაში (The National Association of Social Workers (NASW), 2023).

2022 წელს ორგანიზაციამ “ თანასწორობის მოძრაობამ” ჩაატარა “პირველადი ჯანდაცვის სისტემაში ლგბტკი ადამიანების მიმართ განწყობის კლევვა”, რომლის მიზანიც იყო დაედგინათ არსებული ბარიერები და განწყობები მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების მისაღებად. კლევვის შედეგად გამოვლინდა, რომ თემის წევრები ხშირად თავს იკავებენ სამედიცინო მომსახურების მიღებისგან, რაც გამოწვეულია წინა უარყოფითი გამოცდილებითა და სოციალური წტიგმატიზაციის წინასწარი შიშით (თანასწორობის მოძრაობა, 2022). ამ მხრივ, სოციალური მუშაკის ჩართულობა მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა არის მნიშვნელოვანი ფაქტორი აივ ინფექცია/შიდსის პრევენციისა და მართვის საქმეში. ამ მხრივ, სოციალური მუშაკები მოქმედებენ როგორც შუამავლები, აკავშირებენ მაღალი სარისკო ქცევის მქონე პირებს ჯანდაცვის სერვისებთან, მათ შორის ტესტირებასთან, მკურნალობასთან და მუდმივ ზრუნვასთან. მათი ადვოკატირება უზრუნველყოფს, რომ მომსახურების მომხმარებლებს ჰქონდეთ საჭირო სამედიცინო დახმარება, რაც მათ აძლევს უფლებას მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები საკუთარი ჯანმრთელობის შესახებ.

აივ ინფექცია /შიდსის გავრცელება რისკ ჯგუფებთან, არის კომპლექსური საკითხი, რომელიც თავის მხრივ ჩამოყალიბებულია სოციალური , სტრუქტურული თუ ქცევითი ფაქტორების კომბინაციით. მნიშვნელოვანია, სოციალურ მუშაკმა გაანალიზოს თუ რატომ შეადგენს რისკ-ქცევის მქონე ჯგუფებს ადამიანები, რომლებიც იდენტიფიცირებულნი არიან , როგორც ლგბტკი . პირველ რიგში, ლგბტკი

ინდივიდების სტიგმატიზაციამ და დისკრიმინაციამ შეიძლება გამოიწვიოს ჯანდაცვაზე შეზღუდული წვდომა, მათ შორის აივ ტესტირებისა და პრევენციის სერვისები. უარყოფის შიშმა, სოციალურმა იზოლაციამ და ინტერნალიზებულმა ჰომოფობიამ შეიძლება ხელი შეუშალოს ინდივიდებს რეგულარული ჯანდაცვის ძიებისგან, რაც იწვევს აივ-ის დაგვიანებულ დიაგნოზს და პრევენციულ ღონისძიებებში ჩართულობის შემცირებას. ეს მაგალითი, ზემოთ უკვე განვიხილეთ, სადაც საქართველოს მაგალითზე გამოიკვეთა, რომ ეს პრობლემა აქტუალურია და ნეგატიურმა გამოცდილებამ ჯანდაცვის სერვისის მიმწოდებლებთან შეიძლება ხელი შეუშალოს ადამიანებს რეგულარულ შემოწმებაზე ან მათი სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის გამჟღავნებისგან, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს ჯანმრთელობის.

ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც გასათვალისწინებელია არის ის, რომ ლგბტქი თემმა შესაძლოა განიცადოს სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა, როგორც შეიძლება იყოს საცხოვრებლის არასტაბილურობა და უმუშევრობა. რამაც მოსალოდნელია მოჰყვეს რესურსებზე, განათლებასა და ჯანდაცვაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა. ეკონომიკურმა არასტაბილურობამ შეიძლება ხელი შეუწყოს გადარჩენისთვის სექს სამუშაოში ჩართვას, რაც გაზრდის აივ-ის გავრცელების რისკს. საქართველოში ამ მხრივ, არასამთავრობო ორგანიზაციებში დასაქმებული სოციალური მუშაკები საკუთარი რესურსებით ხელი შეუწყონ მომსახურეობის მიმღებს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებასა და განვითარებაში. ამ მიმართულებით საინტერესოა, გამოვეყოთ "ქვიარ ასოციაცია -თემიდა", რომელიც დაარსდა 2015 წელს და მათი მიზანია ტრანს და ქვიარ ადამიანებისთვის თანასწორი, უსაფრთხო და ღირსეული გარემოს შექმნა. ორგანიზაცია "თემიდა"-მ 2022 წელს განახორციელა პროექტი, რომლის მიზანიც იყო თემის გაძლიერება და მწვავე პრობლემის - დასაქმების პრობლემის მოგვარება, პროექტი ორიენტირებული იყო შრომითი უფლებების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდასა და დასაქმებაზე. "თემიდას" 2022 წლის ანგარიშში ვეცნობით, რომ პროექტის ფარგლებში ჩატარებულ ვორქშოფში მონაწილეობა მიიღო 45 მონაწილემ, აქედან უმუშალოდ მომსახურეობით ისარგებლა 12- მა ადამიანმა და დასაქმდა - 3 (ქვიარ ასოციაცია -თემიდა, 2023). ორგანიზაციაში ფუნქციონირებს აივ ტესტირება და სოციალური მუშაკის მომსახურება.

აღნიშნულ საკითხს ასევე ეხმიანება 2023-2025 წლის საქართველოს აივ ინფექცია/შიდსის ეროვნულ სტრატეგიულ გეგმა. ანგარიშის მიხედვით, ერთ-ერთი გამოწვევაა პირველადი ჯანდაცვა, ვინაიდან მათ არ აქვთ გააზრებული და უზრუნველყოფილი საკუთარი როლი და ფუნქციები. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია პირველადი ჯანდაცვის მიმწოდებლების აქტიური ჩართვა და გადამზადება, რათა მოხდეს აივ-ის დროული გამოვლინება და პრევენცია. ამ შემთხვევაში სოციალური მუშაკის ჩართულობა და აქტიურობა მნიშვნელოვანია, ვინაიდან მან უნდა მოიგოს დამაკავშირებელი რგოლის ფუნქცია და გადადგას პირველი ნაბიჯი მოლაპარაკებებისთვის, რათა აივ დადებით პირებს ჰქონდეთ სრულყოფილი ჯანდაცვის სერვისები (გლობალური ფონდი, 2023) .

ამასთანავე, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ 2022 წელს გამოაქვეყნა გაიდლაინი, რომელიც ორიენტირებული არის ხუთ ყველაზე გავრცელებულ რისკ-ქცევის მქონე ჯგუფთან სამუშაოდ, ესენია 1. მამაკაცი, რომელსაც სექსი აქვს მამაკაცთან , 2. ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლები , 3. პენიტენციალურ დაწესებულებასა და სხვა დახურულ სივრცეში მყოფი პირები , 4. სექს-მუშაკები , 5 . ტრანსგენდერი ადამიანები (World Health Organization, 2022). აღნიშნულ გაიდლაინში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია რეკომენდაციას გასცემს შექმნან და მოუწოდებს ამ მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებს დანერგონ თანამშრომლების ინფორმაციული გადამზადების პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობს პრევენციასა და უკვე არსებული სერვისების განვითარებას. ასევე, რეკომენდაციას გასცემს დანერგონ ალიანსები, რომლებიც ორიენტირებული იქნება რისკ ქვეშ მყოფი ჯგუფების ინტეგრაციასა და განვითარებაზე (World Health Organization, 2022).

## დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი არის გლობალური გამოწვევა მსოფლიოს ყველა წერტილში, რისი დასტურიც არის ის, რომ ბოლო მონაცემებით სულ ინფიცირებულია 85,6 მილიონი ადამიანი .

ამერიკის შეერთებულ შტატებში აივ ინფექციასთან დაკავშირებული გამოწვევები რჩება. ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის, პრევენციის რესურსების და სტიგმის უთანასწორობა კვლავაც არაპროპორციულად მოქმედებს გარკვეულ თემებზე. აივ/შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის მცდელობები მოიცავს მუდმივ კვლევას, განათლებას, საზოგადოების ჩართულობას და ყოვლისმომცველ ჯანდაცვის სერვისებს, რათა უზრუნველყოს ეფექტური პრევენცია, მკურნალობა და მხარდაჭერა ვირუსით დაზარალებული ყველა პირისთვის.

კვლევა ხაზს უსვამს სოციალური მუშაკების შეუცვლელ და მნიშვნელოვან როლს აივ ინფექცია/შიდსით პოზიტიური პირების მხარდაჭერასა და ზრუნვაში, რომელიც ითვალისწინებს ემოციურ, ფსიქოსოციალურ და პრაქტიკულ საჭიროებებს, სოციალურ მუშაკებს მნიშვნელოვანი წვლილსი შეაქვთ მომსახურების მიმღებთა კეთილდღეობისა და გაძლიერებისთვის. პროფესია ხელს უწყობს ფსიქოსოციალური მხარდაჭერის, გაძლიერების, ადვოკატირების. ზრუნვისა და საზოგადოების განათლებას, რაც ხელს უწყობს უფრო ყოვლისმომცველ და ინტეგრირებულ მიდგომას აივ/შიდსის გამოწვევებთან მიმართებაში. მიუხედავად ამისა, ისეთი გამოწვევები, როგორცაა მუდმივი სტიგმა, დისკრიმინაცია და რესურსებზე არათანაბარი ხელმისაწვდომობა წარმოადგენს მუდმივ შფოთვის საგანს.

სოციალური მუშაობის სფეროს განვითარებასთან ერთად აუცილებელია, რომ პრაქტიკოსებმა, მკვლევარებმა და პოლიტიკის შემქმნელებმა ითანამშრომლონ, რათა გაზარდონ ინტერვენციებისა და მხარდაჭერის სისტემების ეფექტურობა აივ/შიდსით ინფიცირებული პირებისთვის. ეს კვლევა მოითხოვს მუდმივ ვალდებულებას ცოდნის გადრმაგების, სოციალური სამართლიანობის ხელშეწყობისა და ინკლუზიურობის ხელშეწყობისკენ. მუდმივი განათლების, ადვოკატირებისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპებისადმი ერთგულების მეშვეობით, სოციალურ მუშაკებს შეუძლიათ გააგრძელონ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ აივ/შიდსით დაზარალებულთა ცხოვრებაში, საბოლოო ჯამში მუშაობა უფრო ინკლუზიური და მხარდამჭერი საზოგადოებისკენ. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ სოციალური მუშაობა ჯერ კიდევ ახალი პროფესიაა საქართველოს ფარგლებში არსებული სერვისები და ცვლილებები მნიშვნელოვანი ნაბიჯებია.

## ბიბლიოგრაფია

(2023). Retrieved from Treatment Action Group: <https://www.treatmentactiongroup.org/>

Act Up NY. (2023). *actupny.com*.

AVAC. (2023). *prepwatch*. Retrieved from EXPLORE DATA AND INFORMATION ON PREP ACROSS THE GLOBE:  
<https://www.prepwatch.org/>

Centers for Disease Control and Prevention . (2022, june). *HIV Basics*. Retrieved from Centers for Disease  
Control and Prevention : <https://www.cdc.gov/>

*GEORGIA National HIV/AIDS Strategic Plan for 2011-2016*. (2010).

GMHC. (n.d.). Retrieved from <https://www.gmhc.org/>: <https://www.gmhc.org/history/>

Health Resources & Services Administration. (2022). *Ryan White HIV/AIDS Program*. Retrieved from <https://ryanwhite.hrsa.gov/about>

John Wiley & Sons, Inc. (2010, 2). *Handbook of HIV and Social work :Principles, Practice, and Populations*. (C. C. Poindexter, Ed.) USA: John Wiley & Sons, Inc.

Strug, D. L., Grube, B. A., & Beckerman, N. L. (2002). Challenges and Changing Roles in HIV/AIDS Social Work : Implications for training and education. *Social Work in Health Care*, 1-9.

The National Association of Social Workers (NASW). (2023). *The National Association of Social Workers (NASW)*. Retrieved 2023, from <https://www.socialworkers.org/>

The New York Times. (1985). REAGAN DEFENDS FINANCING FOR AIDS. *The New York Times*.

U.S. Department of Health & Human Services. (1981-2022). <https://www.hiv.gov/>. Retrieved from <https://www.hiv.gov/>: <https://www.hiv.gov/hiv-basics/overview/history/hiv-and-aids-timeline/>

World Health Organization. (2022). *Consolidated guidelines on HIV, viral hepatitis and STI prevention, diagnosis, treatment and care for key populations*. Retrieved January 2024, from <file:///C:/Users/User/Downloads/9789240052390-eng.pdf>

World Health Organization. (2023, December). *World Health Organization*. Retrieved from <https://www.who.int/>: <https://www.who.int/data/gho/data/themes/hiv-aids>

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი. (2016). *ღებტი პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში*.

გლობალური ფონდი. (2006). *შიდსით დაავადებულთა პალიატრიურ დახმარებით უზრუნველყოფა - ლოტი V*.

გლობალური ფონდი. (2019-2022). *საქართველოს აივ/შიდსის ეროვნული სტრატეგიული გეგმა 2019 - 2022*. Retrieved from <https://www.georgia-ccm.ge/wp-content/uploads/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%98%E1%83%95-%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%93%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9>

გლობალური ფონდი. (2023). *საქართველოს 2023-2025 წლების აივ/შიდსის ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა*. საქართველო: გლობალური ფონდი. Retrieved from <https://www.georgia-ccm.ge/wp-content/uploads/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%98%E1%83%95-%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%93%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9>

83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-2023-2025-  
%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-  
%E1%83%90%E1%83%98%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%9

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი. (2018).

*NCDC*. Retrieved from <https://test.ncdc.ge/Default.aspx>

ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი . (2023). *ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი / Ghrn*.

Retrieved from <https://ghrn.ge/>

თანადგომა - საინფორმაციო სამედიცინო ფსიქოლოგიური ცენტრი. (2006). *ქუჩაში მომუშავე სექს-მუშაკების მახასიათებლები, მაღალი რისკის შემცველი ქცევები, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების/აივ/შიდსის შესახებ ცოდნა და ამ ინფექციების გავრცელება, თბილისი, საქართველო, 2002-2004.*

თანადგომა - საინფორმაციო სამედიცინო ფსიქოლოგიური ცენტრი. (2020). *აივ ინფექცია/შიდსის*

*საკვანძო პოპულაციებისათვის, აივ ინფექცია/შიდსით დატუბერკულოზით დაავადებული*

*პირებისთვის*. Retrieved from [https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pub-](https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/covid_19_kps_plhiv_tb_geo.pdf)

[pdf/covid\\_19\\_kps\\_plhiv\\_tb\\_geo.pdf](https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/covid_19_kps_plhiv_tb_geo.pdf)

თანასწორობის მოძრაობა. (2022). *პირველადი ჯანდაცვის სისტემაში ლგბტქი ადამიანების მიმართ*

*განწყობის კლუვა*. თბილისი. Retrieved from [https://equality.ge/wp-](https://equality.ge/wp-content/uploads/2022/07/%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98-%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9)

[content/uploads/2022/07/%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98-](https://equality.ge/wp-content/uploads/2022/07/%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98-%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9)

[%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9](https://equality.ge/wp-content/uploads/2022/07/%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98-%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9)

თანასწორობის მოძრაობა. (2023). *თანასწორობის მოძრაობა*. Retrieved from <https://equality.ge/>

ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული

ცენტრი. (2023, დეკემბერი). Retrieved from ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და

კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი:

[https://www.aidscenter.ge/epidsituation\\_geo.html](https://www.aidscenter.ge/epidsituation_geo.html)

ნამიჭვიშვილი სალომე, მგელიაშვილი მაია. (2010). *სოციალური სამუშაოს პრაქტიკის საფუძვლები*

*სახელმძღვანელო ბავშვებთან და ოჯახებთან მომუშავე სოციალური მუშაკებისთვის*.

თბილისი, საქართველო: სოციალურ მუშაკთა ასოციაცია.

საინფორმაციო სამედიცინო- ფსიქოლოგიური ცენტრი - თანადგომა. (2023). *საინფორმაციო*

*სამედიცინო- ფსიქოლოგიური ცენტრი - თანადგომა*. Retrieved from <https://tanadgoma.ge/>

- საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი- თანადგომა & საერთაშორისო ფონდი კურაციო. (2019). *აივ-თან დაკავშირებული სარისკო და უსაფრთხოქვევები მამაკაცებს შორის, რომელთაც სქესობრივი კონტაქტი აქვთ მამაკაცებთან, თბილისი, ბათუმი, ქუთაისი,საქართველო*. თბილისი. Retrieved from <https://tanadgoma.ge/wp-content/uploads/2018/10/171.pdf>
- საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია. (2005). *სოციალური სამუშაოს ეთიკის კოდექსი*.
- საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია. (2011). *სოციალური სამუშაოს პრაქტიკის საფუძვლები, სატრენინგო მასალების პრეზენტაცია*.
- ქვიარ ასოციაცია -თემიდა. (2023). *წლიური ანგარიში 2022*. თბილისი. Retrieved 2024, from [https://drive.google.com/file/d/1qen0ykBXU0QdJ\\_vORGRm5jztRedgFyju/view](https://drive.google.com/file/d/1qen0ykBXU0QdJ_vORGRm5jztRedgFyju/view)
- ცერცვაძე, ჩ. ც. (2016). *ბროშურა გამოიცა "აივ/შიდსისა და C ჰეპატიტის შესახებ ცნობიერების ამაღლება და პაციენტთა განათლება" პროექტის ხელშეწყობით*. თბილისი. Retrieved from [https://aidscenter.ge/publications/book\\_aiv\\_shidsi\\_2016.pdf](https://aidscenter.ge/publications/book_aiv_shidsi_2016.pdf)
- წოწკოლაური, გ. (2020). *სოციალური სამუშაო აივ ინფექცია/შიდსის და სხვა სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების მქონე პირებთან*. Retrieved 2024, from [https://digitallibrary.tsu.ge/book/2020/dec/books/tsotskolauri\\_socialuri\\_mushaoba\\_aiv\\_infeqcia\\_shidsis.pdf](https://digitallibrary.tsu.ge/book/2020/dec/books/tsotskolauri_socialuri_mushaoba_aiv_infeqcia_shidsis.pdf)